შპს "ანტრე-2008"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	651476	547280	574123	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	84984	58998	43977	3.3
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	92931	320424	46224	3.4
მარაგები	**256410**	**228174**	**164681**	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	256410	228174	164681	3.5
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	3050084	29678	223895	3.6
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	7120	9244	13533	3.8
ძირითადი საშუალებები	4571851	4129877	2569141	3.7
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2991082	3245959	2942782	3.2
სულ აქტივები	**11705938**	**8569634**	**6578356**	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება	59883			3.12
სავაჭრო ვალდებულებები	1543507	1528181	1184819	3.9
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	3378282	204193	157819	
საგადასახადო ვალდებულებები	520264	402432	539558	3.11
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	3058			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	250000	250000		3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4588715	5491491	4559692	3.13
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		14486	18648	
სულ ვალდებულებები	**10343709**	**7890783**	**6460536**	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	200	200	200	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1362029	678651	117620	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	**1362229**	**678851**	**117820**	3.14
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**11705938**	**8569634**	**6578356**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ **თამილა მაისურაძე**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ანტრე-2008"

საქმიანობის შედეგები

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2018	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	**18332134**	**16475609**	3.15
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	18287961	16475609	
- მომსახურების გაწევიდან	44173		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**-8419460**	**-8207983**	3.16
- საწყისი მარაგები	-228174	-164681	
- მარაგების შესყიდვა	-8447000	-8271476	
- გადამუშავების დანახარჯები	-696		
- საბოლოო მარაგები	256410	228174	
საერთო მოგება	**9912674**	**8267626**	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-4308948	-3908105	
ცვეთა და ამორტიზაცია	-846855	-726445	
საპროცენტო შემოსავალი	285822	303177	
საპროცენტო ხარჯი	-512402	-487845	
იჯარის ხარჯი	-1379640	-1236915	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2416982	-1296413	3.17
სულ საოპერაციო ხარჯები	**-9179005**	**-7352546**	
საოპერაციო მოგება	**733669**	**915080**	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-220761	-197536	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	131007	-156513	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	**643915**	**561031**	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	**643915**	**561031**	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	**643915**	**561031**	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**678651**	**117620**	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	39463		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1362209**	**678651**	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ თამილა მაისურაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ანტრე-2008"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული:1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2388896	-26843
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-584690	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-1700023	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**104183**	**-26843**
სავალუტო კურსის ეფექტი	13	
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**547280**	**574123**
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	***651476***	***547280***

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი: _____ **თამილა მაისურაძე**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. **შპს „ანტრე 2008“** (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 4 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204549792, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ჯანაშია ქ. N 28 ბ-7.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად,

1.2. კომპანიის ერთადერთი 100% მფლობელია თამილა მაისურაძე (პ/ნ 01008000666).

1.3. კომპანიის დირექტორია თამილა მაისურაძე (პ/ნ 01008000666).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმიმთ სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 15 ადგილიდან (თბილისში).

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და

აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან,

როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. **გადასახადები**

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის" სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის" შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად,

2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. **წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე**

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. **გაცვლითი სავალუტო კურსები**

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. **ფული და ფულის ეკვივალენტები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	651296	547028
ლარი საბანკო ანგარიშებზე	9	88
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	162	153
EUR საბანკო ანგარიშებზე	9	11
სულ:	**651476**	**547280**

3.2. **გაცემული მიმდინარე სესხები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაცემული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი	2991082	3245959
სულ:	**2991082**	**3245959**

2019 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დავალიანება წარმოადგენს გაცემულ სესხს, რომელიც დაიფარება 31.12.2026.

3.3. **სავაჭრო მოთხოვნები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	84984	58999
სულ:	**84984**	**58999**

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტ იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.4. **გადახდილი ავანსები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	92931	320424
სულ:	**92931**	**320424**

3.5. **მარაგები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ძირითადი ნედლეული და მასალები	197277	181931
შესაფუთი და დამხმარე მასალები	59022	45738
საწვავ-საცხები მასალები	111	505
სულ:	**256410**	**228174**

3.6. **სხვა მიმდინარე აქტივები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სხვა მიმდინარე აქტივები	3050084	29678
სულ:	**3050084**	**29678**

3.7. **ძირითადი საშუალებები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 489კვ.მ. 01.18.03.065.007.01.509	257556	257556
მიწა არასასოფლო სამეურნეო 231 კვ.მ. 01.15.05.014.01.018	44610	44610
შენობები	1536691	1562914
მანქანა-დანადგარები	646915	636235
ოფისის აღჭურვილობა	110945.12	97129
კომპიუტერული ტექნიკა	24229	25922
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	34275	34997
ავეჯი	385562	311265
სატრანსპორტო საშუალებები (ლიზინგი)	185451	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	1057372	919190
მცირეფასიანი ძს 150 ლარიდან 1000 ლარამდე	89406	79899
სპეცტანსაცმელი და მსგავსი ფასეულობები	51206	32364
ჭურჭელი და მსგავსი ინვენტარი	104428	95922
ბიოლოგიური აქტივები	43204	31872
სულ:	**4571851**	**4129877**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.8. **არამატერიალური აქტივები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
პატენტები	**930**	150
პროგრამული უზრუნველყოფა	**5453**	8110
სხვა არამატერიალური აქტივები	577	704
მცირეფასიანი არამატერიალური აქტივები (1000 ლარის ქვემოთ)	160	280
სულ:	**7120**	**9244**

3.9. **სავაჭრო ვალდებულებები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება მიმწოდებლების მიმართ	1543507	1528181
სულ:	**1543507**	**1528181**

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება რეზიდენტი და არარეზიდენტი მიმწოდებლების წინაშე.

3.10 მოკლევადიანი სესხები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	250000	250000
სულ:	**250000**	**250000**

საკრედიტო ხაზი სს „თიბისი ბანკში“

3.11. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	520264	402432
სულ:	**520264**	**402432**

3.12. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ლიზინგი	59883	0
სულ:	**59883**	**0**

3.13 **გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-8677017	550553	656028
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9472330	236505	296837
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9061816	191190	207462
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-2730646	106798	145221
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-8158747	132228	167915
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-10200348	277467	329598
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-10199588	185471	219732
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9061791	224441	243542
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-2475243	843014	1291207
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-9737411	1472287	1422140
თი-ბი-სი ბანკი ხელშ 1823401-2324005	368763	511808
სულ:	**4588715**	**5491491**

სს „თიბისი ბანკიდან“ აღებული სამი სესხი არის აშშ დოლარებში. 2019 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 935964 USD-ს.

3.14 **საკუთარი კაპიტალი:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	1362029	678651
სულ:	**1362229**	**678851**

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019 წლის მოგების განაწილება არ მომხდარა.

3.15. **ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

	2019 წელი
ამონაგები რეალიზაციიდან	18332134
სულ:	**18332134**

2019 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.16. **თვითღირებულება**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შეადგენს 8 419 460 ლარს.

3,17 **სხვა საოპერაციო ხარკები:**

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ადმინისტრაციციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2416982	1296413
სულ:	**2416982**	**1296413**

სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები ძირითადად შედგება ხანდაზმული მოთხოვნების ჩამოწერისაგან და გადახდილი არასაგადასახადო ჯარიმებისა და პირგასამტეხლოებისაგან.

3.18. **საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:**

2019 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2019 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი. საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 1362229 ლარს.

3.19. **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

2020 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.20. **ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.